MES 9 23 0001638083

04/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მგელაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლა**

ნინო კაშია- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2. **სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა:**

მამუკა იმნაიშვილი- სკოლის დირექტორი

3. **სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლა:**

ლია რუხაძე- სკოლის დირექტორი

4. **სსიპ - ქალაქ თბილისის 137 საჯარო სკოლა:**

ნათია თათულაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

5. **სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა:**

ფიქრია ღამბაშიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

6. **სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის N1 საჯაროსკოლა:**

ნინო ბახტურიძე - სკოლის დირექტორი

7. **სსიპ-სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლა:**

რევაზ ჯოჯუა-სკოლის დირექტორი

8. **სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯაროსკოლა:**

ნუნუ სილაგავა- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

9. **სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა:**

თამილა შულაია- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლა

ა) ირინა დვალი-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ბ) თეონა ბერიკაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

გ) მაია ქევხიშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

დ) მზია მახაჭაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ე) ზურაბ ურიადმყოფელი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ვ) ინგა ხრიკაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ზ) ლაშა სარალიძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თ) სოფიო თავაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ი) სერგო დურგლიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

კ) ალექსანდრე ლაცაბიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ლ) ნინო ვაშალომიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა:

ა)მაკა ჭიაბერშვილი- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ელისაბედ ბუსხრიკიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ლელა გორდულაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ელენე ხუსკივაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ავთანდილ ცნობილაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) სოფიო თავაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) თეონა აბრამიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ლია ნეფარიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ)მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლა:

ა) ქეთევან ბოტკოველი- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) კესო ბოყოველი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ირმა ავალიანი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ხატია ჭალიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ეთერი ხობუა-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლეილა ხელისუფალი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ნონა გამხიტაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარინე ხუციშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მანანა შეროზია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ლია ნეფარიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ)ნინო ჭიჭინაძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის 137 საჯარო სკოლა:

ა) ნანა ედიშერაშვილი -ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ნინო შუბლაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ინგა ალავერდაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ბესიკი ბერიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნინო ბლუაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნათია მაკრახიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ელიზა კუკავა-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ილონა აკობია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ი) ევგენი გუგულაშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ქეთევან ქობალია-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო კოვზიაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა:

ა) მაია ლაპიაშვილი-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ნანა ღაჭავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მზია მახაჭაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ზურაბ ურიადმყოფელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის N1 საჯარო სკოლა:

ა) გიორგი ნებიერიძე -ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ბ) მანანა ვარდოსანიძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
გ) დავითი ჩივაძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მაია დოლაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ე) ეკა მოსიაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნანა ჩავლეშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ზ) ინგა დარსაველიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თ) შორენა ნიკოლეიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ი) ვლადიმერ უშიკიშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
კ) შორენა კაკაბაძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ-სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლა:

ა)ლია გრიგოლია- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ)პაატა ჩორგოლაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ)შორენა გაგუა-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ელენე კურდღელია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) თაია მამარდაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლამარა დარახველიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ოლიკო კილაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თ) მარიამ ჯვარიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) თეონა აბრამიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ქეთევან ბორაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა:
ა) მაია მამისეიშვილი- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ლევან ღურწკაია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) შორენა გაგუა-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) გოგი ლატარია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ინგა გოგალაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ხათუნა კალმახელიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) თამარ მახარაძე-ხოხიაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ირმა შველიძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ქეთევან ცირეკიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა:

ა) ლიკა გიორგაძე- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ია სოხაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) შორენა გაგუა-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ირმა ბოლქვაძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) მაკა ნადარეიშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლეილა ხელისუფალი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ლალი აბულაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) საბა დარსაველიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო მახარაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე - 17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 17 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე- 20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა ;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ-ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის№ 32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა.
ექსპერტმაგანაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქ. №24-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1827 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1827 მოსწავლისთვის.
ირინა დვალმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის კლუბი, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. გარდა ამისა, სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდებოდათ ელექტრონული გაზეთის საშუალებით. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ სკოლა გარკვეული პერიოდულობით ატარებდა სარეიტინგო წერებს, რომლებშიც მოსწავლეთა ნამუშევრები კოდირებული იყო.
ექსპერტის თქმით, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რაც შეეხება მესამე სტანდარტს, იგი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, ხოლო კომპონენტი 3.5 არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, რომელ კლასებში ატარებდა სკოლა სადიაგნოსტიკო წერებს და ხორციელდებოდა თუ არა შედეგების ანალიზი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ ირინა დვალმა განმარტა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა რეიტინგები ცხრილების სახით და თითოეულ შედეგზე განხორციელებული იყო ანალიზი თუ როგორ და რისი გაუმჯობესება იყო საჭირო.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, 3.5 კომპონენტში აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი, კერძოდ, ექსპერტების მხრიდან 3.5 კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო აღნიშნულ შეფასებას სკოლა არ იზიარებდა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ ირინა დვალმა აღნიშნა, რომ სკოლის ყველა სივრცეში მოწყობილი იყო ადაპტირებული გარემო, თუმცა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და სპორტულ დარბაზში მოხვედრა მხოლოდ პანდუსით იყო შესაძლებელი. პანდუსი კი მოცემულ ადგილებში დაწესებულებას არ გააჩნდა. შესაბამისად, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე აღნიშნულ სივრცეებში გადაადგილებას ვერ შეძლებდა. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, რას გეგმავდა სკოლა ამ მიმართულებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო კაშიამ, განმარტა, რომ დაწესებულებაში არ სწავლობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე ვერ შეძლებდა გადაადგილებას, თუმცა, დაწესებულებაში შექმნილი იყო ინკლუზიური გარემო და იმ შემთხვევაში, თუკი სკოლაში შშმ

პირი გადაწყვეტდა სწავლას, სკოლა გაითვალისწინებდა მის საჭიროებას და ყველა დანარჩენ მოთხოვნასთან ერთად, უზრუნველყოფდა ამგვარი საჭიროების მოსწავლისთვის შეექმნა თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა სკოლის სივრცეში. აქვე, ნინო კაშიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მოძრავი და ვირტულური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსითა და ინვენტარით. მისი თქმით, შეუფერხებლად გადაადგილების უზრუნველსაყოფად და სპორტულ დარბაზში მოსახვედრად, დამონტაჟდებოდა პანდუსი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
ცენტრმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, სკოლის მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 2057 მოსწავლით, ნაცვლად, 1827-ისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეზუსტებინათ, ეთანხმებოდნენ თუ არა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა დვალმა, დაადასტურა, რომ აღნიშნულ რაოდენობას ეთანხმებოდა.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2057 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ-ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007839) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2057 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ჩარგლის ქ. №24
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ჩარგლის ქ. №24
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ჩარგლის ქ. №24

საბჭომ 3.4. და 3.5. კომპონენტების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, დაწესებულებას 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში უნდა წარმოედგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და სპორტულ დარბაზში შეზღუდული შესაძლებლობების/ეტლით მოსარგებლე პირებისთვის გადაადგილების პრობლემის აღმოფხვრის მტკიცებულებები. ასევე, 2025 წლის ნოემბრამდე, წარმოედგინა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

2. სსიპ-ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის

თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.

მისი თქმით, სკოლის მიერ გამოგზავნილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმით სკოლა წარმოდგენილი იყო ორ მისამართზე, ორი კორპუსით, კერძოდ, სოფელ ჩიბათსა და ზემო ჩიბათში. თუმცა, ზემო ჩიბათის შენობაში, სადაც სწავლება მხოლოდ დაწყებითსაფეხურზე ხორციელდებოდა, 2023-2024 წლიდან აღარ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა წერილი, რომლის თანახმადაც, ირკვეოდა, რომ მშობლებმა დაწერეს განცხადება მოსწავლეთა ძირითად კორპუსში გადაყვანასთან დაკავშირებით, რომელიც სოფელ ჩიბათში მდებარეობდა. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ წერილში ასევე მითითებული იყო, რომ ზემო ჩიბათის კორპუსი არ განხილულიყო ავტორიზაციის მიზნებისთვის.
მან აღნიშნა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.4 კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა განმარტა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ოზურგეთის პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტთან“, დიზაინისა და ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსების პროგრამაზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეები ინტერესით იყვნენ ჩართულნი. მათ ასევე გავლილი ჰქონდათ სპეციალური სასწავლო კურსი და აწყობდნენ ნამუშევრების გამოფენას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ფარგლებში, რა აქტივობები იყო განხორციელებული სკოლაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, მამუკა იმნაიშვილმა, განმარტა, რომ ვერიფიკაციის გათვალისწინებით, შეფასების მექანიზმის შემუშავება ხდებოდა ჯგუფის წევრებთან ერთად.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, დაეზუსტებინა მეტი დეტალი სამოქალაქო განათლების პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმა, განმარტა, რომ სკოლა ახორციელებდა მრავალ პროექტს, მათ შორის ,,ეს ჩემი ლანჩხუთია“, ,,სიცოცხლე თავიდან“, ,,ეკო-განათლების განვითარება საქართველოს სკოლებში“ და სხვ. თუმცა მოცემული აქტივობები არ იყო გაწერილი დოკუმენტურად. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რჩევა პროექტების ფორმალურად გაწერასთან დაკავშირებით. აქვე, ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული რჩევა სკოლამ გაიზიარა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლას (ს/კ: 233727795) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიბათი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიბათი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიბათი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, ზემო ჩიბათის კორპუსი არ გამოეყენებინათ სასწავლო მიზნებისთვის.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვ. N61-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.
ექსპერტის თქმით, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც, ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.4 და 3.5. კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტის თქმით, მოსწავლეთა პროფესიული მიდრეკილებებისა და ინტერესების დასადგენად, დაწესებულება შეიმუშავებდა კითხვარებს მოსწავლეებისათვის, ასევე, სტუმრობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ საწარმოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებისა და სამოქალაქო კლუბის ,,ჩარჩოს“ აქტივობების ფარგლებში, იგეგმებოდა საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება. გარდა

ამისა, სამოქალაქო კლუბი ,,ჩარჩო“ გეგმავდა ონლაინ ჩართვის ორგანიზებას, სადაც სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები თავიანთი საქმიანობის თავისებურებებს გააცნობდნენ მოსწავლეებს.
ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლა განთავსებული იყო 9807 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე და შედგებოდა 2 შენობისგან: მთავარი და დამხმარე შენობა. პირველი შენობა იყო ძირითადი და ოთხსართულიანი, სადაც განთავსებული იყო 30 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო მცირე ფართის არასტანდარტული 5 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, საშხაპე, გასახდელი, კვების ბლოკი და 2 საპირფარეშო. მეორე სართულზე ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, აღნიშნა, რომ გარკვეული უზუსტობების გამო, საჭირო იყო დაწესებულებას მეტი ყურადღება მიექცია სასკოლო დოკუმენტაციის შექმნის პროცესისთვის. გარდა ამისა, საბჭოს ამავე წევრმა, სკოლის წარმომადგენლებს მისცა რეკომენდაცია სკოლის ვებ-გვერდის განახლებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, ლია რუხაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა დოკუმენტაციის გაუმჯობესებაზე.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა ექსპერტებს, შეეფასებინათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, მარინე ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სრულყოფილი კურიკულუმები, მოსწავლეთა ნამუშევრები და, ასევე,შეფასების გამართული რუბრიკები. გარდა ამისა, მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში, კერძოდ, ისინი გარკვეული დროის განმავლობაში თავიანთი შვილების კლასებში კითხულობდნენ მხატვრულ ლიტერატურას, ასევე, აცნობდნენ საკუთარ პროფესიას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლას (ს/კ: 204873565) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვ. N61
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვ. N61
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვ. N61

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, დაწესებულებას უნდა წარმოედგინა დასკვნა შენობა-ნაგებობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე, ქიმიის ლაბორატორიაში დაემონტაჟებინა გამწოვი და უზრუნველეყო ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ

მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 15 და 16 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, წყნეთში, გრიშაშვილის ქ. N1-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 900 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი), მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, კომპონენტი 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ნანა ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აქცენტი კეთდებოდა ლიდერობის კულტურაზე. მისი განცხადებით, სკოლაში დამკვიდრებული იყო დემოკრატიული მართვის მოდელი და თანამშრომლობითი გარემო, ასევე ფუნქციონირებდა რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული რესურსებით. ნანა ედიშერაშვილმა დასძინა, რომ ექსპერტებს ვიზიტის დროს საკლასო ოთახებში დახვდათ მოსწავლეების მიერ დამზადებული საინტერესო რესურსები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რა ინფორმაცია იყო მოცემული შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თათულაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით, სკოლის შენობა - ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოდ. დირექტორის მ/შ -ს განცხადებით, დასკვნის თანახმად, შენობა მოცემული დროისთვის იყო უსაფრთხო, თუმცა საჭიროებდა შესაბამის გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებას. ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, აღნიშნულთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა სკოლას მიმართული სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. ნათია თათულაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰქონდა მიწერილი მოცემულ სააგენტოსთან ზემომითითებულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმზე და აღნიშნა, რომ რესურსები ემთხვეოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის ვებ. გვერდზე მოცემულ კომპლექსურ დავალებებს. საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, რამდენად ახდენდა სკოლა აღნიშნული კურიკულუმის რეალობაში განხორციელებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ევგენი გუგულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ სწორედ ვებ. გვერდზე განთავსებული, მზა კომპლექსური დავალებებით, თუმცა განხორციელების დროს ისინი გეგმავდნენ გარკვეული ცვლილებების შეტანას მათში და კლასის საჭიროებებზე მორგებას. პეტრე ბაბილუამ შეფასების რუბრიკასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, კონკრეტულად, რა ტიპის ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება ხდებოდა მოცემულ რუბრიკაში. სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდასხვადასხვა პროგრამის გამოყენება, მაგალითად GeoGebra. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ, დაწესებულებაში აღნიშნული პრაქტიკა ამ ეტაპზე ინერგებოდა, შეფასებაც განსაზღვრული იყო დაბალი ქულით. პეტრე ბაბილუა დაინტერესდა კლასების შესაბამისი კომპიუტერებით აღჭურვის საკითხით, რამდენად შეუფერხებლად მიმდინარეობდა აღნიშნული პროგრამების გამოყენება. ნოდარ ანგურიძის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს დაეზუსტებინა, დამაკმაყოფილებელი იყო თუ არა სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ბესიკ ბერიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან მოხდა გარკვეული რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა. სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მაღალი მზაობა იმისა, რომ შეძლებდნენ მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ისაუბრა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შესახებ და აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალებები თავისი იდეით, შინაარსით და სირთულით განსხვავებულიყო უნდა ყოფილიყო სტანდარტული საშინაო დავალებებისგან. სკოლის დირექტორის მ/შ-ს განცხადებით, მოცემული კომპლექსური დავალებები ჯერ კიდევ დამუშავების პროცესში იყო და იგეგმებოდა ცვლილებების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლას (ს/კ: 204863647) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.თბილისი, წყნეთი, გრიშაშვილის ქ. N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.თბილისი, წყნეთი, გრიშაშვილის ქ. N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.თბილისი, წყნეთი, გრიშაშვილის ქ. N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, განეხორციელებინა შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გლდანის, მე-8 მ/ რ-ში სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1650 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი), მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულირეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

მაია ლაპიაშვილმის თქმით, სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 2019-2020 წლებში სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ. ექსპერტის განცხადებით, სკოლისთვის დამახასიათებელი იყო გუნდურობა და მასწავლებლები აცხადებდნენ მაღალ მზაობას ცვლილებებისადმი. სკოლა თემში სარგებლობდა დადებითი ავტორიტეტითა და ნდობით.

ექსპერტმა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, საკლუბო მუშაობასა და პარტნიორობას რიგ ორგანიზაციებთან. სკოლა ტრენინგების, პროექტებისა და კვლევების ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობდა World Vision-თან. ასევე მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული სხვადასხვა უნივერსიტეტთან. სკოლაში განსაკუთრებით აქტიურობდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ინიციატივითაც ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის კვლევები, პროექტები და აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, მოცემული დროისთვის ფლობდა თუ არა დაწესებულება შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ფიქრია ღამბაშიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოცემული დროისთვის მოპოვებული ჰქონდა შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სკოლის შენობის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი, თუმცა დაწესებულებაში არსებული შენობების დამაკავშირებელი ხიდი სეისმომდგრადობის თვალსაზრისით საჭიროებდა შესაბამისი გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსულებლის, ფიქრია ღამბაშიძის, განცხადებით, სკოლა გეგმავდა აღნიშნულთან დაკავშირებით მიემართა სააგენტოსთვის. ფიქრია ღამბაშიძემ ასევე დასძინა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა მიწერილობა ზემოაღნიშნულ სააგენტოსთან სკოლაში ადაპტირებული გარემოსა და შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების საკითხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აქვე, მან ყურადღება გაამახვილა დასახელებული უწყებიდან მიღებულ პასუხზე, რომლის თანახმადაც, 2024 წელს დაგეგმილი იყო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

დავით მალაზონიამ აქცენტი გააკეთა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში კურიკულუმებში მოცემული საკითხები საჭიროებდა განვითარებას და დახვეწას. ფიქრია ღამბაშიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში იგეგმებოდა მოცემული მასალების გადახედვა და განვითარება.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა სკოლას ციფრული განვითარების გეგმა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ციფრული განვითარების გეგმა და ამასთანავე სკოლა აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, რამდენად ხდებოდა კონკრეტულ საგნებთან მიმართებით ტექნოლოგიების გამოყენება. ფიქრია ღამბაშიძის განცხადებით, სკოლაში ტექნოლოგიურ საშუალებებს იყენებდნენ სხვადასხვა საგნის ფარგლებში, როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე.
დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1650 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლას (ს/კ: 209472630) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1650- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ
3		საშუალო	ქართული	

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ

საბჭომ 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი ფოტო- მასალა.

6. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნადაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნუკრიანში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 300 მოსწავლე. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 141 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 1.2, 2.2, 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

გიორგი ნებიერიძემ განაცხადა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაწესებულებაში შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი, რომლის ფარგლებშიც, სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა მრავალფეროვანი პროექტები და აქტივობები. სკოლა შესაბამისი მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობდა არაფორმალური განათლების ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
მან თავადვე მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაზე მუშაობა დაწყებული. სკოლის დირექტორმა, ნინო ბახტურიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია დაინტერესდა, რას გეგმავდა სკოლა ლაბორატორიებთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა ნინო ბახტურიძემ აღნიშნა, რომ ლაბორატორიებთან დაკავშირებით სკოლას ჰქონდა მიწერილობა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.
დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა ასევე ადაპტირებულ გარემოზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რა მდგომარეობა იყო ამ კუთხით, კერძოდ, იგეგმებოდა თუ არა სარეაბილიტაციო სამუშაოები სკოლის სრულად ადაპტირების მიზნით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ნინო ბახტურიძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს და უახლოეს მომავალში იგეგმებოდა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აქცენტი გააკეთა ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე. მან სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, მოხდა თუ არა აღნიშნული დასკვნის მასწავლებლებთან ერთად გაანალიზება, ასევე, ხდებოდა თუ არა დასკვნაში მოცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულება. სკოლის დირექტორის განცხადებით, დასკვნაში მოცემული თითოეული რჩევა და რეკომენდაცია სკოლის მასწავლებლისთვის ცნობილი იყო და მათ უკვე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა აღნიშნული მიმართულებით.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ მოხდა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. ნინო ბახტურიძის განცხადებით სკოლის თითოეული მასწავლებელი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, მოცემული დროისთვის ხომ არ ჰქონდა სკოლას შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ ნინო ბახტურიძემ განაცხადა, რომ სკოლას მოცემული დროისთვის არ ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრის განმარტებით შეფასების რუბრიკებში, ძირითად შემთხვევაში შეფასება ხდებოდა 1,5 ქულით და განმსაზღვრელი შეფასებები დაფიქსირებული იყო მეოთხე კლასის შეფასების რუბრიკების შემთხვევაშიც. მან მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, დაეზუსტებინათ აღნიშნული საკითხი. დასმული საკითხის საპასუხოდ, უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, მაია დოლაშვილმა განაცხადა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, ექსპერტების მხრიდან მოხდა შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი წინააღმდეგი იყო სკოლას მინიჭებოდა ავტორიზაცია.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლას (ს/კ : 240412772) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სიღნაღი, სოფელი ნუკრიანი I ქუჩა. მე-13 ჩიხი, N 1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღი, სოფელი ნუკრიანი I ქუჩა. მე-13 ჩიხი, N 1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღი, სოფელი ნუკრიანი I ქუჩა. მე-13 ჩიხი, N 1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი
მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტი, მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე სტანდარტი, მეოთხე სტანდარტი.

7. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკ ითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. მისი თქმით, დაწესებულება მდებარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო ფოცხოში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 280 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი ვინაიდან სკოლას, ადამიანური და მატერიალური რესურსით შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ლია გრიგოლიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა, კომპონენტი 3.4, შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, რა კონკრეტული რჩევები გაიცა ექსპერტების მხრიდან სკოლაში ვიზიტის დროს კურიკულუმებთან დაკავშირებით და მოხდა თუ არა სკოლის მიერ მათი გათვალისწინება.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ელენე კურდღელიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან გადმოგზავნილ პირველად დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კურიკულუმები რიგ შემთხვევებში არ მოიცავდა თემებს, რესურსებს და კომპლექსურ დავალებებს. ექსპერტის განცხადებით ადგილზე ყველა ხარვეზთან დაკავშირებით გაიცა რჩევები, რაც სკოლამ გაითვალისწინა.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა ამ ეტაპზე დაწესებულებას და ირიცხებოდა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ამასთან, ჰქონდა თუ არა სკოლას პირობები შესაბამისი მომსახურება გაეწია მისთვის. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, რევაზ ჯოჯუამ, აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულებაში სწავლობდა 44 მოსწავლე, საიდანაც ერთი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. მისი თქმით, დაწესებულება ითვალისწინებდა მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებს. აქვე, ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ აღნიშნა, რომ სკოლაში მუშაობდა სპეც-მასწავლებელი, დამონტაჟებული იყო ლიფტი, პანდუსი, ასევე, ფუნქციონირებდა რესურს-ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილები.
სკოლის დირექტორმა, რევაზ ჯოჯუამ განაცხადა რომ სკოლის თვითშეფასების ფორმაში დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხარვეზი მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ 280 მოსწავლის მაგივრად, მოთხოვნილი უნდა ყოფილიყო 100 მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდაშენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და, ასევე, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. ამავდროულად, შესაბამის უწყებასთან არ იყო შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლას (ს/კ:

239885059) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ფოცხო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ფოცხო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, პასუხისმგებელ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა, ასევე სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, სასკოლო ბიბლიოთეკის შესაბამისი ლიტერატურით შევსების შესახებ.

8. სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია მამისეიშვილმა.

ექსპერტის თქმით, სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კერძოდ, კომპონენტი 3.1 და 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.

მაია მამისეიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ- ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა რამდენიმე მიმართულების მიხედვით წარმოადგენდა საუკეთესო გამოცდილების მქონე სკოლას, კერძოდ: არაფორმალური განათლების განვითარების კუთხით სკოლაში ფუნქციონირებდა ეკო-კლუბი ,,სალხინო“. სკოლა ასევე მონაწილეობდა ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის კონკურსში და იყო ნახევარფინალისტად წარმოდგენილი. ამასთანავე, სამოქალაქო კლუბი ჩართული იყო USAID- სამოქალაქო განათლების განვითარების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, მცირე საგრანტო პროექტების ორგანიზებისას ხორციელდებოდა ასევე ისეთი პროექტები, როგორებიც იყო: ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“, ,,არასრულწლოვანთა დანაშაული და პრევენცია“, ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი“. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში, ასევე, ფუნქციონირებდა, ,,ჯვრულით ქარგვის“ წრე. პროფესიული პროგრამებით დაინტერესების მიზნით, სკოლა თანამშრომლობდა რამდენიმე დაწესებულებასთან, კერძოდ, სოფელ ტალერში არსებულ ქარხანა ,,ალებურთან“, მარტვილის იუსტიციის სახლთან, ადგილობრივ მეფუტკრე ფერმერებთან, სენაკის კადეტთა ლიცეუმთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო სტაჟირების უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ კონფერენციაში ინგლისურ ენაზე მომხსენებლად წარსდგა აღნიშნული სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. გარდა ამისა, სკოლა 2022 წლის ფინალისტი გახდა ,,მწვანე ჯილდოს“ მოპოვების კონკურსში. სკოლის მოსწავლეები აგრეთვე იმარჯვებდნენ სხვადასხვა სასკოლო ოლიმპიადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლას დოკუმენტაციის სახით, წარმოდგენილი ჰქონდა მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა, რომელიც მოიცავდა რიგ ხარვეზებს და საჭიროებდა გადახედვას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ სკოლის
მიერ მოწოდებული დოკუმენტი მოსწავლის/პერსონალის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის-კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ მოიცავდა არასწორ ინფორმაციას სკოლის შესახებ. ამდენად, მან გასცა რჩევა აღნიშნული დოკუმენტის რედაქტირებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლას (ს/კ: 235444104) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი სალხინო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი სალხინო

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი სალხინო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით.
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის წარმოდგენა, ასევე სკოლას უნდა უზრუნველეყო კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანა.

9. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკ ითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ.
ექსპერტის თქმით, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 154

მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 154 მოსწავლისთვის.
ლიკა გიორგაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ სურათი შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა მეტწილ შესაბამისად, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.3 3.4 და 3,6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. თუმცა, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, მოიპოვა თუ არა სკოლამ დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თამილა შულაიამ, აღნიშნა რომ სკოლას ჰქონდა მიწერილი შესაბამის ორგანოსთან და ელოდებოდა რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტში, უცხოური ენის მიმართულებით არ ფიქსირდებოდა რჩევები დარეკომენდაციები. მან კითხვით მიმართა უცხოური ენების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა მეტი დეტალი კურიკულუმებთან დაკავშირებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა დაადასტურა, რომ ექსპერტის მხრიდან არ იყო გაცემული რჩევები, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები იყო სრულყოფილი. აქვე, მაკა ნადარეიშვილმა, აღნიშნა, რომ გასაუბრებისას გამოიკვეთა მჭიდრო თანამშრომლობა პედაგოგებს შორის .
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარე კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 154-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის,

შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ამდენად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლას (ს/კ: 235444382) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 154- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილი, სოფელი ლედგებე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილი, სოფელი ლედგებე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილი, სოფელი ლედგებე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მე-3 და მე-4 სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 22:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა